ოქმი:**ო05. 3725266001**

თარიღი:**23/09/2025**

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 23 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

11:00 -11:30 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, ხ. ცერცვაძე, ბ. კილაძე, ნ. მახარაძე, ნ. ნადირაშვილი,

დ.მჟავანაძე, გ. მდინარაძე, ნ. ქარჩავა, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარემპ. კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: პაატა კიღურაძე
თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის საკითხზე. განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი მომზადებულია არსებული კანონმდებლობის დაცვით და ვადებში. აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს-როგორც თვითმართველობის კოლეგიური ორგანოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მიზანშეწონილია მისი წარდგენა საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით. თანამომხსენებელმა-საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ დადგენილების პროექტი ინიცირებულია საკრებულოს თავმჯდომარის დ. დარჩიას მიერ, არსებული კანონმდებლობის შესაბამისდ მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაემატათ პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის საშტატო ერთეული, აქამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოფიცრის ფუნქციები შეთავსებული ჰქონდა საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს, მიზანშეწონილია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის ცალკე საშტატო ერთეულად გამოყოფა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დადგენილების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა- დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი